

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-65/ნ

2020 წლის 25 ივნისი

ქ. თბილისი

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„პერინატალური სამსახურების რეგიონალიზაციის დონეებისა და პაციენტის რეფერალის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 15 იანვრის №01-2/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 15/01/2015, 470230000.22.035.016315) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) რომელსაც მინიჭებული ჰქონდა პერინატალური რეგიონალიზაციის შესაბამისი დონე და ამ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან საქმიანობის შესაბამისობაში მოსაყვანად და სააგენტოში განაცხადის წარმოსადგენად განესაზღვრა ვადა 2020 წლის 1 მარტამდე, ან პერინატალური რეგიონალიზაციის შესაბამისი დონის მოქმედების ვადა ეწურება 2020 წლის 1 ივლისამდე, ამ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან საქმიანობის შესაბამისობაში მოსაყვანად და სააგენტოში განაცხადის წარმოსადგენად განესაზღვროს ვადა 2020 წლის 1 აგვისტომდე და პერინატალური რეგიონალიზაციის დონის განმეორებით მინიჭების ბოლო ვადად განესაზღვროს 2020 წლის 1 ოქტომბერი.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

